# ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომა

10 მარტი 2006 წელი

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:**
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №4/8, ბ. №6

**სხდომის დაწყების დრო:** 18:30სთ.

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:**
კახა ასლანიშვილი, დავით ლანჩავა, როინ მიგრიაული, ზურაბ ტაბიძე, რუსუდან პიტავა, დავით ასათიანი.

**სხდომის თავმჯდომარე:** კახაბერ ასლანიშვილი

**დღის წესრიგი:**

1. ასოციაციაში გაწევრიანების მსურველთა განცხადებების განხილვა და გაწევრიანება;
2. ასოციაციის სიმბოლიკის დამტკიცება;

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას", გაწევრიანების სურვილით მომართა 17 პირმა. საბჭოს წევრთა მიერ მოხდა წარმოდგენილი განცხადებების განხილვა და დადასტურდა, რომ ყველა განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია შეესაბამებოდა საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ" მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

სდომაზე განხილულ იქნა ასოციაციის სიმბოლიკის ბოლო ვარიანტი.

გ ა დ ა წ ყ დ ა:

1. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ" მე-10 მუხლის შესაბამისად ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთ ასოციაციაში" გაწევრიანებულ იქნა 17 პირი.

2. დამტკიცდა ასოციაციის სიმბოლიკა, რომელიც წარედგინება საერთო კრებას;

გადაწყვეტილების მიღებისას სხდომას ესწრებოდნენ:
კ. ასლანიშვილი, რ. მიგრიაული, ზ. ტაბიძე, რ. პიტავა, დ. ასათიანი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, ღია კენჭისყრით.

კახაბერ ასლანიშვილი
თავმჯდომარე